

# მოგების გადასახადის მაკროეკონომიკური ეფექტი

გიორგი ნარიმანიძე

ბაჩანა სოხაძე

არჩილ პაპუაშვილი

ჯგუფი #39

*სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიზნესის  
სკოლაში*

სამეცნიერო ხელმძღვანელი: ზურაბ ჭიაბერაშვილი, ბიზნეს სკოლის პროფესორი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2017

## აბსტრაქტი

ოპტიმალური საგადასახადო სისტემის შერჩევა ქვეყნის ეკონომიკური განვითარებისთვის მნიშვნელოვან ბერკეტს წარმოადგენს. სხვადასხვა ქვეყნებში საგადასახადო სისტემები ადაპტირებულია ქვეყნის სოციო-ეკონომიკურ გარემოსთან, შესაბამისად, მოქნილი სისტემის დანერგვა ხელს უწყობს ეკონომიკურ წინსვლას. საქართველოში მოგების გადასახადის ახლებურად დაანგარიშების მეთოდი 2017 წლის დასაწყისიდან შევიდა ძალაში და იგი ეფუძნება „ესტონურ მოდელს“. საგადასახადო რეფორმის საკანონმდებლო ინიციატივა მოგების გადასახადის განაწილებული მოგების გადასახადით ჩანაცვლებას გულისხმობს. კომპანიები მოგების გადასახადით დაიბეგრებიან მხოლოდ მისი განაწილების შემთხვევაში. ამ რეფორმის შესაძლო შედეგები მიღებულია ესტონეთის გამოცდილებიდან, რომლის მიხედვითაც, ბიზნესს ექმნება მასტიმულირებელი წინაპირობა. კომპანიები ბიუჯეტში გადასახდელი თანხების ხარჯზე შეძლებენ მოგების რეინვესტირებას საკუთარი რესურსის გასაზრდელად.

კვლევის მიზანს წარმოადგენს იმის დადგენა, თუ რა გავლენა ექნება ახალ საგადასახადო სისტემას მთლიან შიდა პროდუქტზე, რამდენად შეუწყობს ხელს ინვესტიციების მოზიდვას, რა ტიპის ბიზნესისთვის იქნება მეტად მომგებიანი და რამდენ ხანში იგრძნობს ეკონომიკა რეფორმის დადებით ეფექტს.

ნაშრომის ფარგლებში განვიხილეთ სამიზნე მოდელები ქართული ტრანსფერისთვის, შვეიცარიის, სინგაპურისა და ესტონეთის წარმატებული ეკონომიკების მაგალითზე. ამ ქვეყნების მიმოხილვით, შეფასდა მთავრობის მიერ შერჩეული ქვეყნის - ესტონეთის არჩევის მიზეზი მოგების გადასახადის რეფორმის კუთხით.

კვლევის შედეგებით გამოვლინდა, რომ აღნიშნული რეფორმა დადებით მაკროეკონომიკურ ეფექტს დაახლოებით ორი წლის შემდეგ იძლევა და, მეტწილად, მცირე და საშუალო ბიზნესის ზრდაზეა ორიენტირებული. პროგნოზირებული შედეგებით, ლიბერალური საგადასახადო მიდგომით საქართველოს საინვესტიციო

მიმზიდველობა გაიზრდება, რაც გამოიწვევს ინვესტიციების შემოდინებას ქვეყანაში, თუმცა პირველ წლებში მოგების გადასახადის რეფორმით მივიღებთ ეკონომიკის ზრდის შემცირებას, მაგრამ მესამე წლიდან კაპიტალის მოცულობა და მთლიანი შიდა პროდუქტის რეალური ზრდის მაჩვენებელი გაიზრდება.

ნაშრომი ეყრდნობა ესტონეთის გამოცდილებას, რომელიც გაჯერებულია სტატისტიკური მონაცემებით საქართველოსთან მიმართებაში. ექსპერტებისა და მკვლევარების მიერ დამუშავებული მონაცემებისა და მათი პროგნოზირებული შედეგების გაანალიზება, გვებმარება მოცემული პერიოდის მიხედვით საქართველოს სამომავლო სურათის დანახვაში. ნაშრომი გვანახებს კონკრეტულ საკითხებს, რომელთა შესაბამისი ყურადღებითა და დახვეწით, შესაძლებელია საგადასახადო რეფორმით გამოწვეული ეფექტის გაზრდა.

ძირითადი თემატური საძიებო სიტყვები: ეკონომიკური, ესტონური, მოდელი, საგადასახადო, რეფორმა, მოგების, გადასახადი, რეინვესტირება, მთლიანი, შიდა, პროდუქტი, ინვესტიციები, ბიზნესი, შვეიცარია, სინგაპური, ესტონეთი, მაკროეკონომიკურ, სტატისტიკური.